შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ ბაზისი XXI “
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 34/18

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“
63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„26“ თებერვალი 2018წ

საექსპერტო შეფასება (დასკვნა)

ქ. თბილისში, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-12კმ, შ.პ.ს. „ფაინ თრი გრუპ“-ის საკუთრების მიწის ნაკვეთებზე: №01.72.14.014.633; №01.72.14.006.637 (ნაკვეთი 06.538); №01.72.14.006.638 (ნაკვეთი 06.538) მრავალფუნქციური კომპლექსის (საოფისე, სასაწყობე, რესტორანი) შენობების კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია ზემოთაღნიშნულ მისამართზე მდებარე, მრავალფუნქციური კომპლექსის (საოფისე, სასაწყობე, რესტორანი) შენობების კორექტირებული პროექტის:

1. კონსტრუქციული ნაწილი, აკინძული ალბომის სახით;
2. არქიტექტურული ნაწილი, ელექტრონული ვერსიის სახით;
3. სამშენებლო მოედნის ტოპოგადაღება და გეოლოგიური კვლევა-ძიების მასალები;
4. კონსტრუქციული ნაწილის ანგარიშები, შესრულებული პროგრამული კომპლექსის „lira 9.4“-ის საშუალებით.

დამკვეთი: შ.პ.ს. „ფაინ თრი გრუპ“ ს/კ 404948802
საპროექტო ორგანიზაცია: შ.პ.ს. „დავით ვაშაკიძე არქიტექტს“
პრ. მთ. არქიტექტორი: მალხაზ ზიბზიბაძე
პრ. მთ. კონსტრუქტორი: ბ. ბარბაქაძე
კონსტრუქტორი: ს. ბარბაქაძე
ექსპერტი-კონსტრუქტორი: ვ. ჯაფარიძე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“

ქ. თბილისში, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-12კმ, შ.პ.ს. „ფაინ თრი გრუპ“-ის საკუთრების მიწის ნაკვეთებზე: №01.72.14.014.633; №01.72.14.006.637 (ნაკვეთი 06.538); №01.72.14.006.638 (ნაკვეთი 06.538) დაპროექტებულია მრავალფუნქციური კომპლექსის (საოფისე, სასაწყობე, რესტორანი) შენობის 3 სხვადასხვა ფუნქციური ბლოკი.

I (სასაწყობე ბლოკის) შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით: 31,00X93,75მ ღერძებს შორის.

I (სასაწყობე ბლოკის) ნაგებობა სამსართულიანია, ქვედა სართული ნახევარსარდაფის ტიპისაა. III სართული საოფისეა და არასრულ ფართზეა განთავსებული.

შენობის სვეტების მაქსიმალური ბიჯი გრძივი მიმართულებით შეადგენს: 6,25მ. სვეტების მაქსიმალური ბიჯი განივი მიმართულებით შეადგენს: სარდაფში 6,54მ; მიწისზედა სართულში 25,0მ.

კონსტრუქციული სქემის მიხედვით I (სასაწყობე ბლოკის) შენობის მიწისქვეშა ნაწილი მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა, ხისტი კვანძებით. შენობის მიწისზედა ნაწილი ლითონის კარკასული ტიპისაა.

II (საოფისე ბლოკის) შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, საშუალო კონსოლური ნაშვერებით, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით: 14,00X70,43მ ღერძებს შორის.

II (საოფისე ბლოკის) ნაგებობა ექვსსართულიანია, ქვედა სართული ნახევარსარდაფის ტიპისაა. VI სართული არასრულ ფართზეა განთავსებული.

შენობის სვეტების მაქსიმალური ბიჯი გრძივი მიმართულებით შეადგენს: 7,50მ. სვეტების მაქსიმალური ბიჯი განივი მიმართულებით შეადგენს: 7,0მ; საკონფერენციო დარბაზის ნაწილში 14,0მ.

სასაწყობე ბლოკისა და საოფისე ბლოკის შენობებს შორის გათვალისწინებულია გადასავლელი მე-2 სართულის დონეზე.

კონსტრუქციული სქემის მიხედვით II (საოფისე ბლოკის) შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა, ხისტი კვანძებით.

III (რესტორანის ბლოკის) შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით: 18,00X25,9მ ღერძებს შორის.

III (რესტორანის ბლოკის) ნაგებობა ერთსართულიანია, შენობა ნახევარსარდაფის ტიპისაა.

შენობის სვეტების მაქსიმალური ბიჯი გრძივი მიმართულებით შეადგენს: 18,0მ. სვეტების მაქსიმალური ბიჯი განივი მიმართულებით შეადგენს: 25,9მ.

კონსტრუქციული სქემის მიხედვით III (რესტორანის ბლოკის) შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა, ხისტი კვანძებით.

ნაგებობების (I; II III ბლოკები) მზიდი კონსტრუქციები გაანგარიშებულია პროგრამული კომპლექსის „Lira 9.4"-ის საშუალებით.

სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას. ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს 85კგ/მ^2; თოვლის ნორმატიული დატვირთვა 50კგ/მ^2.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, ტერიტორიაზე გავრცელებულია ნახევრადმყარი, თიხნარი გრუნტი, რომლის საანგარიშო მაჩვენებლებია: საანგარიშო წინაღობა R$_0$=2,60კგძ/სმ^2; დეფორმაციის მოდული: E=219კგძ/სმ^2. საძირკვლების ფუძედ მიღებულია ხელოვნური ფუძე: შრეობრივად შემკვრივებული (დატკეპნილი) ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი, სისქით 0,4მ. (I სასაწყობე ბლოკისა და III რესტორანის ბლოკისათვის) და 1,0 მეტრი, II (საოფისე ბლოკის) ნაგებობისათვის.

შენობების კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება,

I (საოფისე ბლოკის) შენობა

- საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 40სმ;
- სარდაფის გარე კედლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან სისქით 40სმ;
- სვეტები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, მართკუთხა განივი კვეთებით: 40X50სმ; 40X40სმ და მრგვალი Ø45სმ;
- რიგელები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, განივი კვეთებით: 40X50(h)სმ;
- სართულშუა გადახურვის ფილები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან კოჭოვანი ტიპის სახით, სისქით: 20სმ;
- მიწისზედა ნაწილი, რომელიც ლითონის კარკასული ტიპისაა, დაპროექტებულია ქარხნული წესით დამზადებული, სპეციალური პროფილის კოჭებისაგან;
- მიწისზედა ნაწილის გარე კედლები წარმოადგენს კარკასის შევსებას, ისინი „სენდვიჩი"-ს ტიპის პანელებისაა;
- სახურავი ქანობიანია, ბურული „სენდვიჩი"-ს ტიპის პანელებისაა;

კონსტრუქციული სქემის მიხედვით I (სასაწყობე ბლოკის) შენობის მიწისქვეშა ნაჭილი მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა, ხისტი კვანძებით. შენობის მიწისზედა

ნაწილი ლითონის კარკასული ტიპისაა. ბეტონის საპროექტო კლასი შეადგენს: B-25 (M-327); არმატურების საპროექტო კლასი მზიდ კონსტრუქციებში: A-III და A –I.

II (საოფისე ბლოკის) შენობა

- საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 70სმ;
- პილონები და სვეტები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, მართკუთხა განივი კვეთებით: 40X250სმ 40X200სმ; 40X120სმ; 40X100სმ; 40X40სმ და მრგვალი Ø45სმ;
- რიგელები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, განივი კვეთებით: 40X40(h)სმ; 40X50(h)სმ; 40X65(h)სმ; 40X100(h)სმ; 40X105(h)სმ; 40X120(h)სმ;
- სართულშუა გადახურვის ფილები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან კოჭოვანი ტიპის სახით, სისქით: 20სმ;
- გარე კედლების დიდი ნაწილი დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან სისქით 20სმ; 40სმ; 60სმ.

კონსტრუქციული სქემის მიხედვით II (საოფისე ბლოკის) შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა, ხისტი კვანძებით. ბეტონის საპროექტო კლასი შეადგენს: B-25 (M-327); არმატურების საპროექტო კლასი მზიდ კონსტრუქციებში: A-III; A –I; A –500c; A –240;

III (რესტორანის ბლოკის) შენობა

- საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 40სმ;
- სვეტები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, მართკუთხა 40X40სმ;
- რიგელები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, განივი კვეთებით: 40X50(h)სმ; 40X100(h)სმ; 40X120(h)სმ;
- სართულშუა გადახურვის ფილეა დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან კოჭოვანი ტიპის სახით, სისქით: 20სმ;
- გარე მიწისქვეშა კედლები დაპროექტებულია მონოლით. რკ/ბეტონისაგან სისქით 40სმ;

კონსტრუქციული სქემის მიხედვით III (რესტორანის ბლოკის) შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა, ხისტი კვანძებით. ბეტონის საპროექტო კლასი შეადგენს: B-25 (M-327); არმატურების საპროექტო კლასი მზიდ კონსტრუქციებში: A-III; A –I; A –500c; A –240;

თავდაპირველად შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის შემდეგ, ობიექტმა რამოდენიმეჯერ განიცადა კორექტირება, შეიცვალა შენობის ვიზუალური იერსახე; გეგმარება; შეიცვალა ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემა.

ბოლო კორექტირებით გათვალისწინებულია შემდეგი:

I (სასაწყობე ბლოკის) შენობაში, სარდაფის სართულში შეიცვალა შიდა გეგმარება, ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის შეუცვლელად; I სართულში შეიცვალა შიდა გეგმარება, ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის შეუცვლელად; II სართულში შეიცვალა შიდა გეგმარება, ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის შეუცვლელად; ფასადზე დაემატა ფანჯრების ღიობები „სენდვიჩი“-ს ტიპის პანელებში, ასევე ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის შეუცვლელად.

II (საოფისე ბლოკის) შენობაში, სარდაფის სართულში დაემატა პილონი „A“–„I“ ღერძზე, შეიცვალა ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემა, შემცირდა დიდი კონსოლური ნაშვერის სიგრძე.

შეიცვალა შიდა გეგმარება, შეიცვალა ფასადის ელემენტები. ზედა სართულებზე შეიცვალა შიდა გეგმარება, ნაწილობრივ შეიცვალა ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემა შეიცვალა ფასადის ელემენტები. შეიცვალა VI სართული, დაემატა ფართი.



III (რესტორანის ბლოკის) შენობა დამატებულია, მთლიანად ახალი დაპროექტებულია, ძველ საპროექტო დოკუმენტაციაში არ იყო გათვალისწინებული.

კორექტირებულ პროექტს თან ერთვის ნაგებობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის სივრცული ანგარიშის შედეგები, აკინძული ალბომის სახით; ანგარიშები შესრულებულია პროგრამული კომპლექსის „lira 9.4“-ის საშუალებით.

ნაგებობის მზიდი კონსტრუქციები დაპროექტებულია შენობის კორექტირებული მზიდი კონსტრუქციულ სისტემის სივრცული ანგარიშის შედეგების მიხედვით, ცვლილებების სრული გათვალისწინებით.

<u>დასკვნა:</u>

ქ. თბილისში, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-12კმ, შ.პ.ს. „ფაინ თრი გრუპ“-ის საკუთრების მიწის ნაკვეთებზე: №01.72.14.014.633; №01.72.14.006.637 (ნაკვეთი 06.538); №01.72.14.006.638 (ნაკვეთი 06.538) მრავალფუნქციური კომპლექსის (საოფისე, სასაწყობე, რესტორანი) შენობების კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია საკმარისი მოცულობით, მოქმედი კანონმდებლობის, სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობაში.

პროექტის გრაფიკული ნაწილისა და შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის სივრცული ანგარიშის შედეგების ანალიზის საფუძველზე ექსპერტიზა დადებით შეფასებას აძლევს კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს და რეკომენდაციას უწევს მას მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი,
ექსპერტი–კონსტრუქტორი: /ვახტანგ ჯაფარიძე/

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 115518
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10105547
ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/09/2010 15:40:23

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბაზისი XXI
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, აღმაშენებლის გამზირი 63ა
საიდენტიფიკაციო კოდი:	202235296
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	12/12/2003
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	2/4-3679
მარეგისტრირებელი ორგანო:	დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001003423, იოსებ ცერცვაძე,
  გენერალური დირექტორი, ,
- 01005021796, ვახტანგ ჯაფარიძე,
  , , აღმასრულებელი დირექტორი

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01001003423, იოსებ ცერცვაძე,	100.00000000%	202235296-SH-00001

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის